სანოტარო მოქმედების იდენტიფიკაციის ნომერი

188172751192 18

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N180117537

რეგისტრაციის თარიღი

06.02.2018 წ

ნოტარიუსი: ირმა გოგია

მისამართი: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა N14.

ტელეფონი: 599 932 798 2 76 37 45

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათასთვრამეტი წლის ექვს თებერვალს, მე ნოტარიუსს ირმა გოგიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა №14 მომმართა მოქალაქე ნანული კვეზერელმა, რომელმაც განაცხადა, რომ, არის შპს "ანრი 2016"-ის (ს/კ №406171315) დირექტორი და თავისი უფლებამოსილების დასადასტურებლად წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B16035792, მომზადების თარიღი: 09/03/2016. ნანული კვეზერელმა გამოხატა მინდობილობის შედგენის და მისი სანოტარო წესით დადასტურების ნება. მე დავადგინე ნანული კვეზერელის (დაბ:12.08.1957 წელს, საგარეჯოში პ/ნ #01027061336 რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, III მას, X კვ, კორპ. 7, ბინა 24) პირადობა. მე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წაიკითხა და მოიწონა მინდობილობის გამცემმა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ორიათასთვრამეტი წლის ექვს თებერვალს, მე, ნანული კვეზერელმა (დაბ:12.08.1957 წელს, საგარეჯოში პ/ნ #01027061336 რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, III მას, X კვ, კორპ. 7, ბინა 24), როგორც შპს "ანრი 2016"-ის დირექტორმა, ელგუჯა კვეზერელს (დაბ: 17.12.1979 წელს, საგარეჯოში, პ/ნ #01027014361 საქართველოს მოქალაქის პასპორტი: 11BA96817 მისი განცხადებით მცხოვრები: ქ. თბილისი, III მასივი, კვ. X, კორ. 7, ბინა 24) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება, კერძოდ:

1. ელგუჯა კვეზერელი უფლებამოსილია შპს "ანრი 2016"-ის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონება (სადაც არ უნდა მდებარეობდეს) მართოს და განკარგოს თავისი შეხედულებით, ასევე საზოგადოების სახელით საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერი ფორმით შეიძინოს უძრავი ქონება (სადაც არ უნდა მდებარეობდეს), დაარეგისტრიროს მარეგისტრირებელ ორგანოში საზოგადოების სახელზე და შემდგომ მართოს/განკარგოს თავისი შეხედულებით. ორივე შემთხვევაში უფლებამოსილია გაყიდოს, გაცვალოს, გააჩუქოს, გადაიფორმოს საკუთარ თავზე, დადოს საკუთარ თავთან გარიგება, თავისი ან/და ნებისმიერი მესამე პირის ვალდებულების უზრუნველსაყოფად დატვირთოს იპოთეკით უძრავი ქონებები. მიიღოს ჩემი კუთვნილი თანხა, ინფორმაცია და/ან ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. შეიტანოს ცვლილებები რეგისტრირებულ მონაცემებში, ხარვეზების არსებობის შემთხვევაში აღმოფხვრას ისინი, მოახდინოს უძრავი ქონების აზომვა, აზომვითი ნახაზის აღება შესაბამისი დაწესებულებებიდან (ელექტრონული ვერსიის ჩათვლით), მოახდინოს ფართის დაზუსტება აზომვითი ნახაზის შესაბამისად, მოაგვაროს დაკანონების, გამიჯვნის, ლეგალიზების, რეგისტრაციის და რეკონსტურქციის საკითხები. მოახდინოს გაზიფიცირების, ელექტროფიცირების, წყალმომარაგების საპროექტო და სამონტაჟო სამუშაოები, ჩამაბაროს შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია მოახდინოს პროექტის შესწორება/გადავადება, აწარმოოს სამშენებლო საქმიანობა, დაამტკიცოს პროექტი. წარადგინოს განცხადებები, ხელი მოაწეროს ნასყიდობის, ჩუქების, გაცვლის, იპოთეკის და ყველა სხვა საჭირო ხელშეკრულებას, შეთანხმებებს, მიღება-ჩაბარების აქტებს, წინარე ხელშეკრულებებს, გამიჯვნისა და ფართების განშლის თაობაზე საჭირო დოკუმენტაციას, გააუქმოს ხელშეკრულებები ან/და შეიტანოს ნებისმიერი სახის ცვლილება/დამატება ხელშეკრულებებში და განსაზღვროს ყველა პირობა თავისი შეხედულებით. დაარეგისტრიროს ხელშეკრულებები საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერი ტიპის აუქციონში და შეასრულოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა საჭირო მოქმედება. მიიღოს/ჩააბაროს დოკუმენტაცია, აწარმოოს მოლაპარაკებები, გადაიხადოს გადასახადები და შეასრულოს ნებისმიერი სხვა მოქმედება, რაც საჭირო გახდება უძრავი ქონებების მართვისა და განკარგვისათვის.

2. ზ/აღნიშნულთან დაკავშირებით უფლებამოსილია იყოს ჩემი წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანოსთან ურთიერთობაში, საქართველოს იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრში, ტექინვენტარიზაციის ბიუროში, შესაბამის კომისიებში, მერიაში, გამგეობაში, საკრებულოში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, სანოტარო ბიუროში, საკუთრების აღიარების კომისიაში, არქიტექტურის სამსახურში, სამოქალაქო რეესტრში, არქივში, სამისამართო-საინფორმაციო ბიუროში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში, ზედამხედველობის სამსახურში, კომუნალური მომსახურების დაწესებულებებში, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, მიკრო-საფინანსო ორგანიზაციებში და ა.შ.

3. მინდობილობა გაცემულია 10 (ათი) წლის ვადით, ნაწილობრივ ან მთლიანად მესამე პირებზე გადანდობის უფლებით.

4. მინდობილობა გაცემული 5 (ხუთი) ეგზემპლარად. რომელთაგან 1 (ერთი) ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში, ხოლო 4 (ოთხი) გადაეცა მინდობილობის გამცემს, მინდობილობის იმ ეგზემპლარს რომელიც რჩება ჩემს სანოტარო ბიუროში, თან ერთვის:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა, აგრეთვე 2 ლარი, თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილების (№507, 29 დეკემბერი, 2011 წ.)39-ე მუხლისა, დღგ 1.80 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, სულ გადახდილია 13.80 ლარი.

საქართველო. ნოტარიუსი ირმა გოგია. GEORGIA. NOTARIUS IRMA GOGIA. 01027003167

ხელმოწერა

ნოტარიუსი ირმა გოგია